საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-310

02/04/2020

ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „აგრო პრაიმის" ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრის (500 ან მეტი მსხვილფეხა შინაური პირუტყვისათვის განკუთვნილი სადგომი) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „აგრო პრაიმის" მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაკიჯვარში ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრის (500 ან მეტი მსხვილფეხა შინაური პირუტყვისათვის განკუთვნილი სადგომი) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „აგრო პრაიმ" გეგმავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაკიჯვარში იჯარით აღებულ, საერთო ფართობით 160,914 მ^2, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 26.36.06.029; 26.36.06.031; 26.36.06.032; 26.16.12.054; 26.21.09.106; 26.36.07.031. / GPS კოორდინატები- X-4652128.730; Y-5145688.435) ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრის მოწყობასა და ექსპლუატაციას. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 1200 მეტრით. ტერიტორიას ირგვლივ ემიჯნება კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიამდე მიდის მოასფალტებული გზა. საპროექტო ტერიტორია შემოღობილი იქნება სპეციალური ელექტრო ღობით, რომელიც ტერიტორიაზე განთავსებულ საქონელს დაიცავს ადგილობრივ საქონელთან კონტაქტისგან.

შპს „აგრო პრაიმ" დაფუძნდა 2018 წელს და მისი მიზანია ქვეყანაში შექმნას ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ინფრასტრუქტურა, რაც საშულაებას მისცემს მსხვილფეხა საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს, როგორებიცაა ავსტრალია, აშშ, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები საქართველოს გავლით მიაწოდონ საქონელი კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებს.

საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით, ცოცხალი საქონლის გრძელვადიანი ტრანსპორტირებისას აუცილებელია გარკვეული პერიოდულობით მათი დასვენება, რაც გულისხმობს მათ სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოყვანას, სპეციალურად მოწყობილ ტერიტორიაზე განთავსებას და საკვებისა და წყლის მიწოდებას. შესაბამისად, კომპანია მის მომხმარებელს შესთავაზებს ცოცხალი საქონლის ტრანსპორტირებისთვის

კომპლექსურ ლოგისტიკურ მომსახურებას, რომელშიც შედის: ცოცხალი საქონლის მიწოდების შესაძლებლობა ავსტრალიიდან, აშშ-დან, სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებიდან; ბათუმის პორტში სპეციალური გემით მათი მიღება-გადმოტვირთვა; სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრში გადაყვანა და მოსასვენებლად დაბინავება; ვეტერინარული მომსახურება, სერტიფიცირება; საკუთარი სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება; დანიშნულების ადგილზე ჩაყვანა კავკასიის, შუა აზიის ქვეყნებსა და ირანში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შემოყვანილი საქონელი იქნება საჯიშე და მეხორცული ჯიშის საქონელი (ჰერეფორდისა და ანგუსის ჯიშები), უმეტეს შემთხვევაში დეკეული/მოზვერი (არაზრდასრული საქონელი). ტერიტორიაზე შემოყვანილი საქონელი იქნება სრულიად ჯანმრთელი და კარანტინ გავლილი. საქონლის კვება მოხდება ძირითადად შეძენილი თივით, ასევე საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ გამოყენებული იქნება საძოვრად.

კომპანია გეგმავს წელიწადში 5 გემის მიღებას, თითოეულის საშუალოდ 3000 თავი საქონლის ტევადობით. სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრში მიღებული ცხოველების გაჩერება საშუალოდ 5 დღით მოხდება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წლის განმავლობაში ლოგისტიკურ ცენტრში შემოსული საქონლის რაოდენობა იქნება დაახლოებით 15,000 თავი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ, ზემოაღნიშნული ჯიშებისთვის მაღალი სიცხის დროს ტრანსპორტირება რეკომენდირებული არ არის, ამიტომ გემების მიღება ძირითადად მოხდება ოქტომბრიდან მაისამდე. ზაფხულის სეზონზე საქმიანობა შეჩერდება.

ობიექტზე მუდმივად დასაქმებული იქნება ხუთი ადამიანი, ერთი ლოგისტიკური ცენტრის მენეჯერი და ოთხი დაცვის თანამშრომელი. საქონლის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში, დაემატება დროებითი თანამშრომლები, 5-10 ადამიანი, ვინც უზრუნველყოფს საქონელზე ზედამხედველობას, საკვების სადგომებში შეტანასა და მათზე ზრუნვას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიის შესასვლელში მოეწყობა ძირითადი ინფრასტრუქტურა. განთავსდება საქონლის გადაზიდვისთვის მოწყობილი კონტეინერები. დაიდგმება ერთი კონტეინერი, რომელიც გადაკეთდება ოფისად. ნაკვეთის მიმდებარედ, გზამდე მოყვანილი არის ელექტროენერგიის ბოძები, საიდანაც მოხდება ნაკვეთის ელ. ენერგიით მომარაგება. ტერიტორიაზე მოეწყობა 18 ცალი იზოლირებული ღია სადგომი საქონლისთვის, აღჭურვილი ინდივიდუალური საკვებურებითა და წყლის ავზებით. საკვებურებისა და წყლის ავზების გარშემო, ადგილის მშრალად და სუფთად შენარჩუნების მიზნით, მოხდება ტერიტორიის ზედაპირის მობეტონება ან ხრეშით მოსწორება. საქონლის სადგომები ისე დაპროექტდა, რომ თითოეული სადგომის შუა ნაწილი იქნება შემაღლებული, კიდეები კი დახრილი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სადგომებიდან წყლის გადინებას და მის მშრალად შენარჩუნებას. ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია სამელიორაციო სისტემა. სამელიორაციო არხების გაწმენდა შესრულებულია, შიგნით კი იგეგმება მცირე არხების გაწმენდა-დასუფთავება, რომლებიც განთავსებულია ყოველ 30 მეტრში. ტერიტორიის მშრალად შენახვის მიზნით, მცირე არხებს შორის არის შემაღლებული ადგილები.

ტერიტორიაზე დაგეგმილია ჭაბურღილის მოწყობა, რომელიც გამოყენებული იქნება საქონლის წყლის მომარაგებისთვის. ჭაბურღილიდან წყლის წლიური მაქსიმალური ხარჯი იქნება 15 000 მ^3.

ოფისად გადაკეთებულ კონტეინერთან მოეწყობა საასენიზაციო ორმო, რომლის გაწმენდაც მოხდება რეგულარულად, ასევე ტერიტორიის შესასვლელთან განთავსდება ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნა, საიდანაც ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური დასუფთავების სამსახური.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოსალოდნელია საქონლის ბიოლოგიური ნარჩენის (ნაკელის) წარმოქმნა წელიწადში დაახლოებით 750 ტონის ოდენობით. ტერიტორია, სადაც საქონელი იქნება გაშვებული, აღემატება 15 ჰექტარს, ამიტომ ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით, გამოყოფილი ნაკელის რაოდენობა წლიურად იქნება დაახლოებით 50 ტონა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქონელი ამ ტერიტორიაზე მუდმივად არ იქნება განთავსებული. მათი შემოყვანა მოხდება პერიოდულად, ძირითადად 2-3 კვირის გამოტოვებით, ზაფხულის სეზონზე 4-6 თვის გამოტოვებით. ტერიტორიიდან ნაკელის გატანა არ იგეგმება. ნაკელის გატანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მიწის ზედა ფენის აღება, რამაც შეიძლება ცუდად იმოქმედოს ნიადაგზე და ხელი შეუწყოს ტერიტორიის დაჭაობებასა და დაბინძურებას. საჭიროების შემთხვევაში (თუ დაგროვილი ნაკელი ანტისანიტარიულ გარემოს შექმნის), ტერიტორიაზე გამოიყოფა ადგილები, სადაც მოხდება ნაკელის ერთად მოგროვება და მისი ბიოპრეპარატებით ადგილზევე დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ნაკელის გამოწვის დაჩქარებასა და სუნის მოშორებას.

ტერიტორიის შესასვლელში მოხდება მიწის ზედა ფენის (10-15 სმ) მოხსნა, ამ ტერიტორიაზე დაიყრება ხრეში, რათა მანქანებმა თავისუფლად იმოძრაონ და შეუფერხებლად მოხდეს საქონლის შემოყვანა, დაცლა/დატვირთვა. მოხსნილი ნიადაგის ფენა განთავსდება საპროექტო ტერიტორიაზე.

ტერიტორიაზე განთავსების დროს, საქონელი წარმოშობს ხმაურს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრი უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 1 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული, ამასთანავე ზაფხულში არ მოხდება საქონლის ტერიტორიაზე შემოყვანა, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება ჭარბტენიანი და დაცული ტერიტორიები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს “წითელი ნუსხის” სახეობები.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფუნქციონირებს მსგავსი პროფილის ობიექტები, შესაბამისად, პროექტის განხორციელების ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაკიჯვარში შპს „აგრო პრაიმის“ ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრის (500 ან მეტი მსხვილფეხა შინაური პირუტყვისათვის განკუთვნილი სადგომი) მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „აგრო პრაიმ“ ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აგრო პრაიმს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აგრო პრაიმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი